საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №429
2014 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-14 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ თანდართულ დანართებთან ერთად.
2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ინსტრუქციით, 2015 წლის 1 იანვრიდან იხელმძღვანელონ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა, ამავე ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ განსაზღვრულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა და არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირებმა.

3. მაკონტროლებელმა ერთეულებმა ამ ინსტრუქციით განსაზღვრული 2015 და შემდგომი წლების წლიური ფინანსური ანგარიშგებები წარუდგინონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სანსახურს მომდევნო წლის არაუგვიანეს 1 აპრილისა, ხოლო 1 ივლისის მდგომარეობით ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაცია №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12 დანართი ფორმების სახით - იმავე წლის 1 აგვისტომდე, ხოლო კონტროლირებულმა ერთეულებმა - ზემდგომ ორგანოებს, მათ მიერ დადგენილ ვადებში.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური**